



## სელევკიის ეპისკოპოსი ეფრემი: რუსეთი გამდიდრდა მსოფლიო მართლმადიდებობის მემკვიდრეობით და თავისი მხრიდან ისიც გაამდიდრა



„ფრიად მოხარული ვარ, რომ დღეს, პირველად ჩემს ცხოვრებაში, თქვენ შორის ვიმყოფები ამ ბრწყინვალე ქვეყანაში – უკრაინაში, რუსეთის ნათლისღების უდიდესი მოვლენის ყოველწლიური ხსენების ზეიმზე“, –

ბრძანა 2021 წლის 28 ივლისს კიევ-პეჩერის წმინდა მიძინების ტაძრის მოედანზე საღვთო ლიტურგიის აღსრულების შემდეგ ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის მდივანმა, სელევკიის ეპისკოპოსმა ეფრემმა თავის მისასალმებელ სიტყვაში.

კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარეს მიტროპოლიტ ონოფრეს, ასევე მის თანამშრომლებსა და სამწყსოს, მან კურთხევა და მისალმება გადასცა ანტიოქიის დიდი ქალაქისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის, იოანე X-სგან.

„მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლობისაკენ გზა (თქვენი ერისა –შენიშ.), გაცილებით ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ მთავრინა ოლლას დროიდან, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ რუსეთის გაქრისტიანება 988 წელს დაიწყო, როდესაც კიევში დაბრუნებულმა დიდმა მთავარმა ვლადიმერმა, – მას შემდეგ, რაც მანამდე ცოტა ხნით ადრე თავად მოინათლა ყირიმის ხერსონესში, – თავის დაქვედებარებულთ, მრჩევლებს და დედაქალაქის ყველა მოქალაქეს მოუწოდა, ნათელი ელოთ მდინარე დნეპრში, რომელიც სიმბოლურად კიევის იორდანე გახდა“, – აღნიშნა ეპისკოპოსმა ეფრემმა.

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ქრისტიანობის მიღებით მთავარმა ვლადიმერმა თავის ერს მრავალი სარგებელი მოუტანა. „ახალმა სარწმუნოებამ დადებითად იმოქმედა მთელს ერზე, გაათანამედროვა და გააერთიანა ის, ასევე, განაშორა წარმართულ წეს-ჩვეულებებს და განანათლა ღვთის ყოვლადკეთილი ნათელით. შესაბამისად, მთავარი ვლადიმერი უნდა ვაღიაროთ არა მხოლოდ დიდ მმართველად, არამედ წმინდანადაც და მოციქულთა სწორადაც, როგორც მას უწოდა ჩვენმა მართლმადიდებლურმა ტრადიციამ“, – დარწმუნებულია მწემსმთავარი.

როგორც ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქმა აღნიშნა, „ნათლისღების გზით ძველმა რუსეთმა, ცენტრით კიევში, როგორც ახალმა იერუსალიმმა, მსოფლიო მართლმადიდებლური მემკვიდრეობის წვდომა მიიღო და დაიწყო მისგან გამდიდრება და ასევე მისი გამდიდრება“.

„ჩვენ დღეს აქ მოვედით იმისათვის, რომ სწორედ ეს მოვლენა ვიზეიმოთ – ქრისტიანობის მიღება და სლავური მართლმადიდებლობის დიდებიდან და სიმდიდრიდან სარგებელი მივიღოთ“, – ბრძანა მეუფე ეფრემმა.

მან მრავალი წლის სიცოცხლე უსურვა უნეტარეს მიტროპოლიტ ონოფრეს და თავისი გამოსვლა დაასრულა სიტყვებით: „გამარჯვება ქრისტიანულ უკრაინას! გამარჯვება მართლმადიდებლობას!“

*სსკვ-ს კომუნიკაციების სამსახური*